

შპს მომავლის სკოლა

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით.....	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. ფული და ფულის ექვივალენტები.....	10
5. სავაჭრო მოთხოვნები	10
6. სასაქონლო მატერიალური მარაგები.....	10
7. გადახდილი ავანსები	11
8. გაცემული სესხები	11
9. ძირითადი საშუალებები	11
10. სავაჭრო ვალდებულებები.....	12
11. მიღებული ავანსები	13
12. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	13
13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	14
14. ხელფასები და სხვა სარგებელი.....	14
15. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	14
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	15

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით

	შენიშვნა	31-12-21	31-12-20	31-12-19
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	20,967	1,915	62,175
სავაჭრო მოთხოვნები	5	196,651	278,542	162,557
სასაქონლო მატერიალური მარაგები	6	106,318	140,854	132,652
გადახდილი ავანსები	7	457,320	428,344	371,017
გაცემული სესხები	8	111,203	99,186	87,855
სხვა მიმდინარე აქტივები		2,269	284	36
სულ მოკლევადიანი აქტივები		894,728	949,125	816,292
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	9	756,378	776,651	817,144
სულ გრძელვადიანი აქტივები		756,378	776,651	817,144
სულ აქტივები		1,651,106	1,725,776	1,633,436
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	10	254,112	202,081	81,989
მიღებული ავანსები	11	558,969	421,720	442,126
საგადასახადო ვალდებულებები		84,154	247,507	183,513
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები		34,763	30,239	23,276
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		17,398	14,504	9,228
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		949,396	916,051	740,132
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		18,021	18,021	24,375
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		18,021	18,021	24,375
სულ ვალდებულებები		967,417	934,072	764,507
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		2,400	2,400	2,400
გაუნაწილებელი მოგება		681,289	789,304	866,529
სულ საკუთარი კაპიტალი		683,689	791,704	868,929
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1,651,106	1,725,776	1,633,436

დირექტორი ----- ერლ ჰარლან თრითი

დიხექსოხის მოგადეოზის

3 შესხუღველი:

დეკოდ ვარნენ თრითი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით

	შენიშვნა	31-12-21	31-12-20	31-12-19
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	20,967	1,915	62,175
სავაჭრო მოთხოვნები	5	196,651	278,542	162,557
სასაქონლო მატერიალური მარაგები	6	106,318	140,854	132,652
გადახდილი ავანსები	7	457,320	428,344	371,017
გაცემული სესხები	8	111,203	99,186	87,855
სხვა მიმდინარე აქტივები		2,269	284	36
სულ მოკლევადიანი აქტივები		894,728	949,125	816,292
გრძელევადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	9	756,378	776,651	817,144
სულ გრძელევადიანი აქტივები		756,378	776,651	817,144
სულ აქტივები		1,651,106	1,725,776	1,633,436
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	10	254,112	202,081	81,989
მიღებული ავანსები	11	558,969	421,720	442,126
საგადასახადო ვალდებულებები		84,154	247,507	183,513
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები		34,763	30,239	23,276
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		17,398	14,504	9,228
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		949,396	916,051	740,132
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		18,021	18,021	24,375
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		18,021	18,021	24,375
სულ ვალდებულებები		967,417	934,072	764,507
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		2,400	2,400	2,400
გაუნაწილებელი მოგება		681,289	789,304	866,529
სულ საკუთარი კაპიტალი		683,689	791,704	868,929
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1,651,106	1,725,776	1,633,436

დირექტორი ----- ერლ ჰარლან თრიტი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი მომსახურებიდან	12	860,949	1,274,755
თვითღირებულების ხარჯი	12	(573,690)	(761,224)
საერთო მოგება		287,259	513,531
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(248,783)	(267,624)
ხელფასები და სხვა სარგებელი	14	(216,876)	(260,842)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი		(44,568)	(43,514)
სხვა შემოსავლები		30,697	20,659
სხვა ხარჯები		(685)	(6,532)
მოგება/(ზარალი) პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე		(192,956)	(44,322)
საპროცენტო შემოსავალი		12,017	11,331
საპროცენტო ხარჯი		(4,524)	(4,524)
მოგება/(ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან		77,448	(39,710)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(108,015)	(77,225)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/(ზარალი)		(108,015)	(77,225)

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარი	2,400	866,529	868,929
წმინდა მოგება/(ზარალი)	-	(77,225)	(77,225)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი	2,400	789,304	791,704
წმინდა მოგება/(ზარალი)	-	(108,015)	(108,015)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი	2,400	681,289	683,689

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს მომავლის სკოლა დაფუძნდა 1995 წლის 30 დეკემბერს. კომპანიის მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ნინო რამიშვილის ქუჩა #37ა. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 211356272.

კომპანიის მეწილეს წარმოადგენს: აშშ-ში რეგისტრირებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი მარკ IV ჰარვესტ (ს/კ: 19951056295 აშშ).

კომპანიის დირექტორს წარმოადგენს ერლ ჰარლან თრითი (პ/ნ: 660226703 აშშ).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ზოგადი საბაზო და საშუალო განათლების, ასევე დაწყებითი სასკოლო განათლების მომსახურების გაწევა.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

თარიღი	აშშ დოლარი	ევრო
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
მიწის ნაკვეთები	-
მანქანა-დანადგარები	5
ოფისის აღჭურვილობა	5
სასწავლო ინვენტარი	10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
კომპიუტერული ტექნიკა	5
სხვა ძირითადი საშუალებები	3-10

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. კომპანიის მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

კომპანიას არჩეული აქვს თვითღირებულების მოდელი. შესაბამისად, არ ხდება ძირითადი საშუალებების საბაზრო ღირებულებაზე გადაფასება.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში კორექტირება ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

3.3 მარაგები

კომპანია მარაგებად აღრიცხავს იმ აქტივებს, რომლებიც კომპანიას გააჩნია რეალიზაციის მიზნით. მარაგის აღრიცხვა ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია თითოეული საქონლის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) მარაგის შენახვის დანახარჯები; ბ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; გ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილი მეთოდი.

3.4 ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საზღაურის სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ გარიგების ხარჯების (მათ შორის სესხის გაცემის საკომისიო) წრფივი ამორტიზაციის მეთოდი არ იძლევა მატერიალურ სხვაობას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდთან, ასეთ შემთხვევაში ხდება ამ ხარჯების წრფივი ამორტიზაცია და საპროცენტო ხარჯში აღიარება დროის გასვლის პროპორციულად. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

3.5 გადასახადები

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით.

2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე 15/85 წმინდა განაწილებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც

გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

3.6 შემოსავალი

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.7 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც პერიოდის ხარჯს.

3.8 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფულის ძირითადი ნაწილი განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე, ხოლო ფულის მცირე ნაწილს ინახავს სალაროში.

2021 წლის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-21	31-12-20
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	20,090	1,787
ფულადი სახსრები სალაროში	877	128
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	20,967	1,915

5. სავაჭრო მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები 2021 წლის ბოლოს შედგება 90-ზე მეტი მყიდველისაგან, ხოლო 2020 წლის ბოლოს 115-ზე მეტი მყიდველისაგან.

2021 წლის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

სავაჭრო მოთხოვნები	31-12-21	31-12-20
სავაჭრო მოთხოვნები მომსახურებიდან	196,651	278,542
სულ სავაჭრო მოთხოვნები	196,651	278,542

6. სასაქონლო მატერიალური მარაგები

კომპანიის სასაქონლო მატერიალური მარაგები დაყოფილია საქონლად და სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგებად.

მათი ნაშთები 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

სასაქონლო მატერიალური მარაგები	31-12-21	31-12-20
საქონელი	81,079	106,025
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგები	25,239	34,829
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	106,318	140,854

7. გადახდილი ავანსები

კომპანიის მიერ გადახდილი ავანსები შედგება მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილი ავანსებისაგან და სხვა ავანსებისაგან.

მათი ნაშთები 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

გადახდილი ავანსები	31-12-21	31-12-20
წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება	381,895	381,895
სხვა გადახდილი ავანსები	75,425	46,449
სულ გადახდილი ავანსები	457,320	428,344

8. გაცემული სესხები

კომპანიის აქვს გაცემული სესხები მის დამფუძნებელზე.

მათი ჩაშლა სესხის ძირად და დარიცხულ საპროცენტო სარგებლად 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

გაცემული სესხები	31-12-21	31-12-20
სესხის ძირი	75,540	75,540
სესხზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი	35,663	23,646
სულ გაცემული სესხები	111,203	99,186

9. ძირითადი საშუალებები

ძირითად საშუალებებზე 2021 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
მიწის ნაკვეთები	692,026	-	692,026
მანქანა-დანადგარები	10,146	-	10,146
ოფისის აღჭურვილობა	15,397	-	15,397
სასწავლო ინვენტარი	116,365	24,295	140,660
ავეჯი და სხვა ინვენტარი	92,616	-	92,616
კომპიუტერული ტექნიკა	52,512	-	52,512
სხვა ძირითადი საშუალებები	24,344	-	24,344
სულ	1,003,406	24,295	1,027,701

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
მანქანა-დანადგარების ცვეთა	10,089	1,834	11,923
ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	6,861	2,614	9,475
სასწავლო ინვენტარის ცვეთა	55,369	13,703	69,072
ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთა	83,312	16,814	100,126
კომპიუტრული ტექნიკის ცვეთა	50,089	8,388	58,477
სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა	21,035	1,215	22,250
სულ	226,755	44,568	271,323

ძირითად საშუალებებზე 2020 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
მიწის ნაკვეთები	692,026	-	692,026
მანქანა-დანადგარები	10,146	-	10,146
ოფისის აღჭურვილობა	13,397	2,000	15,397
სასწავლო ინვენტარი	116,365	-	116,365
ავეჯი და სხვა ინვენტარი	91,595	1,021	92,616
კომპიუტრული ტექნიკა	52,512	-	52,512
სხვა ძირითადი საშუალებები	24,344	-	24,344
სულ	1,000,385	3,021	1,003,406
დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
მანქანა-დანადგარების ცვეთა	8,298	1,791	10,089
ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	4,309	2,552	6,861
სასწავლო ინვენტარის ცვეთა	41,990	13,379	55,369
ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთა	66,896	16,416	83,312
კომპიუტრული ტექნიკის ცვეთა	41,899	8,190	50,089
სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა	19,849	1,186	21,035
სულ	183,241	43,514	226,755

10. სავაჭრო ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო ვალდებულებები ძირითადად უკავშირდება მიღებულ საიჯარო მომსახურებას. გარდა ამისა კომპანიას ასევე გააჩნია სხვა მცირე სავაჭრო ვალდებულებებიც.

მათი ბალანსები 2021 წლის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

სავაჭრო ვალდებულებები	31-12-21	31-12-20
გადასახდელი საიჯარო ვალდებულებები	251,452	196,302
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	2,660	5,779
სულ სავაჭრო ვალდებულებები	254,112	202,081

11. მიღებული ავანსები

კომპანიის მიღებული ავანსები შედგება წინასწარ ანაზღაურებული სწავლის საფასურისაგან.

მათი ბალანსები 2021 წლის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

მიღებული ავანსები	31-12-21	31-12-20
წინასწარ ანაზღაურებული სწავლის საფასური	558,969	421,720
სულ მიღებული ავანსები	558,969	421,720

12. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ზოგადი საბაზო და საშუალო განათლების, ასევე დაწყებითი სასკოლო განათლების მომსახურების გაწევა.

2021 და 2020 წლების განმავლობაში დარიცხული შემოსავალი და მიწოდებული სერვისის თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

საერთო მოგების გაანგარიშება	2021	2020
შემოსავალი, საიდანაც:	860,949	1,274,755
შემოსავლები სწავლის ქირიდან	452,951	542,479
შემოსავლები ამერიკული სწავლების პროგრამიდან	339,244	636,687
შემოსავლები ქართული სწავლების პროგრამიდან	18,945	33,959
სხვა შემოსავლები მომსახურებიდან	49,809	61,630
თვითღირებულება:	(573,690)	(761,224)
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	(573,690)	(761,224)
საერთო მოგება	287,259	513,531

13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2021	2020
იჯარის ხარჯი	214,500	214,500
კომუნალური ხარჯი	13,889	7,898
საკომუნიკაციო ხარჯი	4,162	5,164
საოფისე ინვენტარის ხარჯი	4,049	5,690
საწვავის ხარჯი	2,511	1,589
დაცვის მომსახურების ხარჯი	1,752	1,752
საკანცელარიო ხარჯი	1,667	1,710
საბანკო მომსახურების ხარჯი	938	1,483
მარკეტინგის ხარჯი	383	-
აიტი და პროგრამული მომსახურების ხარჯი	255	315
რემონტისა და შენახვის ხარჯი	107	261
იურიდიული და საკონსულტაციო ხარჯი	-	12,400
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	4,570	14,862
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	248,783	267,624

14. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. აღნიშნულ სარგებელში ასევე შედის კომპანიის წილი 2% საპენსიო სარგებელი, რომელსაც კომპანია უმატებს თანამშრომელს საკუთარი სახსრებით.

ხელფასებისა და სხვა სარგებლის ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელფასები და სხვა სარგებელი	2021	2020
დაკავშირებულ პირებზე გაცემული ხელფასები და სხვა სარგებელი	65,277	58,669
სხვა დაქირავებულ პირებზე გაცემული ხელფასები და სარგებელი	151,599	202,173
სულ ხელფასები და სხვა სარგებელი	216,876	260,842

15. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

15.1 2021 წელს მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 65,277 ლარი, ხოლო 2020 წლის განმავლობაში კი 58,669 ლარი.

15.2 კომპანიას დამფუძნებელზე აქვს გაცემული სესხი.

მათი ბალანსები 2021 წლის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

დამფუძნებლებზე გაცემული სესხები	31-12-21	31-12-20
სესხის ძირი და დარიცხული საპროცენტო სარგებელი	111,203	99,186
სულ დამფუძნებლებზე გაცემული სესხები	111,203	99,186

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.